

საგადასახადო კონტროლი და შემოწმება

ცნება საგადასახადო კონტროლი გულისხმობს საგადასახადო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა მიზანია საგადასახადო აღრიცხვაზე აიყვანოს ყველა პოტენციური გადამხდელი, შეამოწმოს მათი ეკონომიკური საქმიანობა და დაადგინოს ამ გადამხდელთა რეალური შემოსავლები.

საგადასახადო ორგანოებში იგულისხმება სსიპ შემოსავლების სამსახურის რეგიონული ცენტრები, აგრეთვე სპეციალიზირებული სტრუქტურული ერთეულები (აუდიტის დეპარტამენტი და მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტი). გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირები კი არიან საგადასახადო ორგანოების კონტროლის სამმართველოების თანამშრომლები.

საგადასახადო კონტროლის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XII კარი (თ. XXVI-XXXVIII). გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებს საგადასახადო ორგანოები აწარმოებენ ამ კოდექსის XXXVII თავისა და მისგან გამომდინარე ინსტრუქციების შესაბამისად.

საგადასახადო კონტროლი მოიცავს მიმდინარე კონტროლს, გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებს და საგადასახადო შემოწმებას.

მიმდინარე კონტროლის მიზანია ყველა პოტენციური გადამხდელის აღმოჩენა და მათი დაყენება საგადასახადო აღრიცხვაზე, საჭიროების შემთხვევაში, მათგან ინფორმაციის (დეკლარაციების, საბუღალტრო დოკუმენტების და სხვ.) მოთხოვნა და ამ ინფორმაციის ანალიზი (ინფორმაციის შეკრება, განზოგადება და მათ საქმიანობაზე დაკვირვების ღონისძიებების დაგეგმვა). მიმდინარე კონტროლი საგადასახადო ორგანოების მიერ წარმოებს განუწყვეტლივ, მთელი წლის განმავლობაში (ამიტომაც ეწოდება მას მიმდინარე).

გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას გადამხდელის საქმიანობისა და მისი რეალური შემოსავლების შესახებ. მისი მიზანია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება მის მიერ დეკლარირებული შემოსავლები რეალურს, ხომ არ არღვევს იგი საგადასახადო კანონმდებლობას. გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვება ხანმოკ-

თამარ ბერიძე –
სტუ-ს ასოც. პროფესორი
სალომე ჯაფარიძე –
სტუ-ს მაგისტრატურის
მე-2 კურსის სტუდენტი

ლე პროცედურებია, რომლებიც გრძელდება 1 დღიდან რამდენიმე დღემდე, თუმცა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე წუთშიც.

საგადასახადო შემოწმება არის კამერალური და გასვლითი. პირველი გულისხმობს გადამხდელის საფინანსო დოკუმენტების კონტროლს გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, მეორე კი საგადასახადო გამოანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულ შემოწმებას გადამხდელის საქმიანობის ადგილზე.

გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრძალებათ საგადასახადო გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო კონტროლი.

შენიშვნა: აუცილებლობის შემთხვევაში, საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნით მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

მოსამართლე შემოწმების შესახებ ბრძანებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანო მას წარუდგენს შესაბამის დაბუთებულ ინფორმაციას გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ.

საგადასახადო გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურები ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მოტივირებული ბრძანებით, საგადასახადო გადამხდელისთვის ამის თაობაზე წინასწარ შეტყობინების გარეშე. ბრძანებაში უნდა მიეთითოს აღნიშნული პროცედურების ჩატარების პერიოდი (მათი დაწყებისა და დასრულების ვადები), სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პროცედურების ჩასატარებლად, და

პროცედურების ჩამტარებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალი.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს. გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებს უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – მოწვეული სპეციალისტი.

გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებმა არ უნდა დაარღვიოს გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს მისი საქმიანობა.

თუმცა, თუ საგადასახადო კონტროლის პროცედურების ჩატარება შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმის დარღვევის გარეშე და გადასახადის გადამხდელის საქმიანობა შესაძლებელია შეჩერდეს 48 საათზე მეტი დროით, საგადასახადო ორგანო ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეუთანხმოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ უფლებამოსილ პირს/პირებს.

ქრონომეტრაჟი ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე საგადასახადო ორგანოს არანაკლებ ორი უფლებამოსილი პირის მიერ. იგი უნდა ჩატარდეს გადასახადის გადამხდელის წინასწარ შეტყობინების გარეშე, გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

ქრონომეტრაჟის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 257 მუხლი და ინსტრუქცია: „გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკურ საქმიანობაზე ქრონომეტრაჟის ჩატარების შესახებ“;

ქრონომეტრაჟი, როგორც წესი, ტარდება კალენდარული თვის მანძილზე არანაკლებ 7 დღის განმავლობაში საგადასახადო ორგანოს არანაკლებ 2 უფლებამოსილი პირის მიერ. ქრონომეტრაჟის ჩატარების დღეებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო. ქრონომეტრაჟის ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელისგან ცნობის სახით **მიიღოს ინფორმაცია** ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ადგილების მდებარეობის, საკონტროლო-საღარი აპარატების, მრიცხველების ან სხვა ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილების შესახებ; ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დაკვირვების

პროცედურის განხორციელებისათვის. ქრონომეტრაჟის პროცედურებს უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – მოწვეული სპეციალისტი. ქრონომეტრაჟის პროცედურების განხორციელების დროს, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აგრეთვე ქრონომეტრაჟის პროცედურების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის **წინააღმდეგობის გაწევის** შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ოქმს შესაბამისი სამართალდარღვევის შესახებ.

ქრონომეტრაჟი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის სახეს, **რომლის მიზანია** დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებული ან/და მისაღები შემოსავლების, საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობისა და დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის დადგენა-გამოკვლევა. ქრონომეტრაჟის ჩატარების პროცედურამ არ უნდა დაარღვიოს გონივრულ ფარგლებში გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ გააჩეროს მისი საქმიანობა.

ქრონომეტრაჟის **ჩატარების საფუძველია** საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – **ბრძანება**. ბრძანება ქრონომეტრაჟის ჩატარების თაობაზე შეიძლება გამოიცეს გადამხდელის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე ობიექტში.

ქრონომეტრაჟის ჩატარება მოიცავს 3 ეტაპს: **დაკვირვების მომზადება, დაკვირვების ჩატარება, შედეგების დაფიქსირება**.

ქრონომეტრაჟის მომზადება მოიცავს ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების შეგროვებას, მათ წინასწარ გაცნობას. კერძოდ: კეთდება შესასწავლი ობიექტის გასული პერიოდის **საშუალო დღიური ბრუნვების** (შემოსავლების) წინასწარი ანალიზი. ეს მონაცემები აიღება გადამხდელის მიერ გასულ პერიოდში საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციებიდან. ფიქსირდება ის **სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები**, რამაც შეიძლება განაპირობოს არსებითი სხვაობა ქრონომეტრაჟისა და გასულ პერიოდში არსებულ მონაცემთა შორის. **ესენია:** მასალებით და ენერგორესურსებით არარიტმული უზრუნველყოფა; გასაღების ბაზრის სეზონური ხასიათი; სამუშაო რეჟიმის შეცვლა; გასაცემი ფასების ცვლილება; ეკონომიკური საქმიანობის პროფილის შეცვლა; გასულ პერიოდებში დაფიქსირებული

თანამშრომელთა რაოდენობა, საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები და სხვ.

აკვირდებიან გადამხდელის სამუშაო დღის ან/და ფაქტობრივად მუშაობის დროის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებული ან/და საქონლის/მოსახურების მიწოდების მოცულობების უწყვეტი ჩანაწერების წარმოებით. აგრეთვე, დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირთა აღრიცხვით. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საჭიროების შემთხვევაში ახდენს მრიცხველებისა და სხვა საზომი ხელსაწყოების დაყენებას ან გადამხდელის მიერ გამოყენებული მექანიზმების მაჩვენებლების რეგისტრირებას ქრონომეტრაჟის ჩატარების ყოველი დღის ბოლოს.

საჭიროების შემთხვევაში, ქრონომეტრაჟის მიმდინარეობის პერიოდში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დალუქოს ქრონომეტრაჟის ჩატარების ობიექტი ან/და ობიექტზე არსებული სათავსოები. ქრონომეტრაჟის ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან დაბეგვრასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის წარდგენა.

ქრონომეტრაჟი შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვების დამოუკიდებელი პროცედურა, ან გასვლითი საგადასახადო შემოწმების შემადგენელი ნაწილი.

ქრონომეტრაჟის ჩატარების პერიოდის დამთავრების შემდეგ ყოველდღიურად შედგენილი ოქმებით მიღებული შედეგების დაჯამებით და დაკვირვების დღეთა რაოდენობაზე გაყოფის გზით გამოიანგარიშება საშუალო დღიური ბრუნვების (შემოსავლების) მაჩვენებლები.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ქრონომეტრაჟის პროცედურის შედეგებზე აღგენს „გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე ჩატარებული ქრონომეტრაჟის შედეგების შესახებ“ **ყოველდღიურ ოქმებს**. ოქმი დგება **ორ ეგზემპლარად**. ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს (მის წარმომადგენელს), ხოლო მეორე – რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს. **შენიშვნაში** დამატებით აღინიშნება ქრონომეტრაჟის ჩატარებისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის ან/და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ჩანაწერები (ასე-

თის არსებობის შემთხვევაში).

გადასახადის გადამხდელის (მისი წარმომადგენლის) მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ქრონომეტრაჟის პროცედურის შედეგებზე აღგენს „გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე ჩატარებული ქრონომეტრაჟის შედეგების შესახებ“ **შემაჯამებელ ოქმს**. შემაჯამებელი ოქმი მისი შედგენიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარედგინება საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელ პირს.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს მტკიცებულებები, ხოლო საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძვლის არსებობისას უფლება აქვს გაითვალისწინოს წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ქრონომეტრაჟის შედეგებში გაითვალისწინება მხოლოდ სრული სამუშაოს დღის მიხედვით დაფიქსირებული მონაცემები.

ჩატარებული პროცედურის შედეგების გათვალისწინებით დაფიქსირებული ინფორმაცია, შესაბამისი ოქმის შედგენის შემდეგ შეიტანება გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურების კომპიუტერულ ბაზაში.

რეგიონული ცენტრის და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის (შემდეგში - საგადასახადო ორგანო) უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების მიზნით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მოსახურების **საკონტროლო შესყიდვა** (შემდგომში - საკონტროლო შესყიდვა) ან/და დაადგინონ საქონლის/მოსახურების ფასი საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით (შემდგომში - შეთავაზება).

საკონტროლო შესყიდვის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლი; ინსტრუქცია «გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მოსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით საქონლის/მოსახურების ფასის დადგენის შესახებ».

საკონტროლო შესყიდვა ან/და შეთავაზება უნდა განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის წინასწარი შეტყობინების გარეშე. გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს. ამასთან, აღნიშნულმა პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა გააჩეროს გადასახადის გადამხდელის საქმიანობა.

საკონტროლო შესყიდვას ან/და შეთავაზებ-

ბას უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში - მოწვეული სპეციალისტი. საკონტროლო შესყიდვის ან/და შეთავაზების პროცედურების განხორციელების დროს შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საკონტროლო შესყიდვის (შეთავაზების) პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებები. საკონტროლო შესყიდვის ან/და შეთავაზების პროცედურების განხორციელების დროს **სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში** საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი **ადგენს ოქმს** საგადასახადო ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით და/ან მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრის გზით და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების, სამართალდარღვევების გამოვლენა, მათ შორის: მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დარღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის დადგენა და სხვ.

საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს: როგორც გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის დამოუკიდებელი პროცედურა – გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით და/ან მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენის მიზნით; როგორც გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის სხვა პროცედურების თანამდგევი პროცედურა, მათ შორის ასეთი პროცედურების (ქრონომეტრაჟის, დათვალიერების, საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესის დაცვის კონტროლის და სხვ.) განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით; საკონტროლო შესყიდვა ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის მოტივირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

ბრძანება შეიძლება გამოიცეს, როგორც ერთი კონკრეტული გადასახადის გადამხდელის, ასევე რამოდენიმე გადასახადის გადამხდელის ან კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ გადასახადის გადამხდელთა მიმართ.

ბრძანებას დანართის სახით უნდა ახლდეს

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურების ჩატარების პროგრამა და გადასახადის გადამხდელის უფლებების განმარტებითი ბარათი.

საკონტროლო შესყიდვის ან/და შეთავაზების განხორციელების თაობაზე საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებას შეიძლება **საფუძვლად დაედოს** საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების ან/და გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციების ან სხვა დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, როდესაც გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული შემოსავლების მოცულობა და რეალიზებული (მიწოდებული) საქონლის/მომსახურების ფასი (ღირებულება) არსებითად არ შეესაბამება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასს ან/და მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა, მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელებზე მოპოვებული ინფორმაციისაგან; მესამე პირისაგან მიღებული ინფორმაცია; საქონლის საბაზო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის მიზნით საქონლის რეალური სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის აუცილებლობა; გადასახადის გადამხდელის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოება ან/და სამართალდარღვევის ფაქტის (ფაქტების) გამოვლენა.

საკონტროლო შესყიდვა, როგორც წესი, **ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით**. როდესაც საკონტროლო შესყიდვის ან/და შეთავაზების განხორციელების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მოითხოვს საკონტროლო შესყიდვის დასრულებას, პროცედურის განხორციელება შესაძლებელია შეწყდეს შეთავაზებით, თუ ამ ეტაპზე საქონლის/მომსახურების ფასი დადგენილია ან/და მოპოვებულია შესაბამისი მტკიცებულებები.

შეთავაზება შეიძლება **ჩაითვალოს დასრულებულად**, თუ: მიღებულია ბე (აგანსი); გამოწერილია ანგარიში, ანგარიშ-ფაქტურა ან ზედნადები; გაფორმებულია ხელშეკრულება ნიუთის განვადებით შეძენის ან/და საქონლის ნაყიდობის შესახებ სხვა დოკუმენტი (ფასის დაფიქსირებით); პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით განხორციელდა სხვა პირისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდება (ფასის დაფიქსირებით) და შესაძლებელია ამ ფაქტზე ოქმის შედგენა სათანადო ფორმით.

თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოვებს სავაჭრო ობიექტის ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულა, მაშინ ოპერაცია ექვემდებარება

გაუქმებას – შესყიდული საქონელი უბრუნდება გამყიდველს (გადასახადის გადამხდელს), ხოლო გადახდილი ფული – მიყიდველს (საგადასახადო ორგანოს).

ოპერაცია გაუქმებას არ ექვემდებარება: მომსახურების საკონტროლო შესყიდვის შემთხვევაში; იმ საქონელზე, რომელიც არ უბრუნდება გამყიდველს.

საკონტროლო შესყიდვის ან/და შეთავაზების პროცედურის შედეგებზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ოქმი ან სამართალდარღვევის ოქმი პროცედურის დასრულებიდან (ოქმის შედგენიდან) არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარედგინება საგადასახადო ორგანოს.

საგადასახადო ორგანო საკონტროლო შესყიდვის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ჩატარებული პროცედურის შედეგების დამტკიცების თაობაზე.

საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვის სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 259-ე (281) მუხლი და ინსტრუქციები: „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“; „საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-საღარი აპარატების მიმართ წყენებული ტექნიკური მოთხოვნები და სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესი“; „საკონტროლო-საღარი აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესები და საღაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტები“.

საკონტროლო-საღარი აპარატი (შემდგომში სსა) - ფისკალური მექანიზმების და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე როგორც დამოუკიდებლად მომუშავე, ასევე პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსში ჩართული ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამოიზნულია მომხმარებლების მიერ ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდების შესახებ მონაცემების რეგისტრაციისათვის, მათი შენახვისათვის და შესაბამისი ანგარიშებით დოკუმენტების ფორმირებისათვის ამობეჭდვის გზით.

ფისკალური მექანიზმება – საკონტროლო-საღარი აპარატში არსებული პროგრამულ-აპარატული საშუალებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგოდამოუკიდებელ მექანიზმებაში საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის საჭირო ყოველდღიური ინფორმაციის უკორექტიუო რეგისტრაციას და

ხანგრძლივ შენახვას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ იწარმოება საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები **საკონტროლო-საღარი აპარატების სახელმწიფო რეესტრი**.

შესაძლებლობა, განხორციელოს ჩეკზე ობიექტის დასახელების, მისამართის, საიდენტიფიკაციო ნომრის, საკონტროლო-საღარი აპარატის საქარხნო, ყიდვა-გაყიდვის (მომსახურების) ოპერაციების მონაცემების, ნაღდი ფულის მიღების თარიღის და მიღებული თანხების მონაცემების ჩაწერა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ასახვა; ფისკალური მექანიზმება, რომელშიც აპარატი უზრუნველყოფს ყოველდღიური ანგარიშების ფიქსირებას და მათ შენახვას არანაკლებ 6 წლის განმავლობაში; საკონტროლო-საღარი აპარატი უნდა იყოს ქართულენოვანი, რომელიც გულისხმობს ჩეკზე სიტყვიერი ჩანაწერების ქართულ ენაზე დაბეჭდვის შესაძლებლობას.

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემები **აღირიცხება მხოლოდ** საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენებით.

საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლებიან: პირები მომხმარებლებთან ანგარიშსწორების იმ ნაწილში, სადაც გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი; ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენენ პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას – საქმიანობის ამ ნაწილში; ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირები, რომლებსაც ამ კოდექსით არ აქვთ საგადასახადო ორგანოში მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის ვალდებულება; პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ მომხმარებლების ტერიტორიაზე (სახლებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) – საქმიანობის ამ ნაწილში, ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემის პირობით; პირები, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებენ ავტომატიზებული ან მექანიკური მოწყობილობების მეშვეობით –

საქმიანობის ამ ნაწილში; მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წერილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში. პირები – საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის ნაწილში.

საქონლის მიწოდების ან /და მომსახურების გაწევისათვის გამოიწერება **საგადასახადო ანგარიშფაქტურა**.

საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამოყენების ვალდებულების მქონე პირებმა **უნდა უზრუნველყონ**: საქართველოს კანონმდებლობით საკონტროლო-საღარიბო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესების დაცვა; საქონლის/მომსახურების მიწოდების ღირებულების ნაღდი ფულით ანაზღაურებისას მომხმარებელზე საკონტროლო-საღარიბო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკის გაცემა (იმ შემთხვევის გარდა, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაიცემა ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს საქონლის/ მომსახურების მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტს.

საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამოყენებისას, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პირი ვალდებულია გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი და ფასის მაჩვენებლები (საქართველოს ეროვნულ ვალუტაში) გამოაქრას მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილას.

სსა-ის ექსპლუატაცია არის მისი დადგმის, ტექნიკური მომსახურების, გამოყენების და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ერთიანი პროცესი, რომლის განხორციელების უზრუნველყოფს გადამხდელი ამ წესით მისთვის განსაზღვრული ვალდებულებათა შესაბამისად.

გადამხდელი ვალდებულია მომხმარებლის მიერ მისთვის მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას, შესაბამისი მონაცემების აღსადრიცხავად გამოიყენოს სსა. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ მომხმარებელთან საქონლის/მომსახურების მიწოდების პროცესში ყოველ კონკრეტულ ობიექტზე ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მონაცემების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა ხდება მხოლოდ შესაბამისი საგადასახადო ორგანოში დადგენილი წესით რეგისტრირებული საკონტროლო-საღარიბო აპარატებით. საკონტროლო-საღარიბო აპარა-

ტების დანერგვასა და გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ შესაბამისი საგადასახადო ორგანოები.

გადასახადის გადამხდელის ობიექტის ფუნქციონირება სსა-ის გარეშე მოიცავს **ისეთ შემთხვევებს**, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი: გადასახადის გადამხდელს თავის მფლობელობაში არ გააჩნია სსა; გადასახადის გადამხდელს გააჩნია სსა, მაგრამ ის არ არის დარეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში კონკრეტული ობიექტის საქმიანობის ადგილის მიხედვით. რამდენიმე ობიექტის არსებობის შემთხვევაში, სსა უნდა დარეგისტრირდეს თითოეული ობიექტის საქმიანობის ადგილის მიხედვით ცალ-ცალკე;

სსა-ის გამოყენებლობა გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც გადასახადის გადამხდელს აქვს საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული აპარატი, რომელიც შეტანილია სახელმწიფო რეესტრში, აპარატზე ჩართულია ფისკალური მექანიზმები, მაგრამ მომხმარებელთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორებისას არ ხდება ვაჭრობის/მომსახურების ყველა ოპერაციაზე აპარატის გამოყენება, რაც თავის მხრივ მოიცავს იმ მომენტს, რომ მომხმარებლისგან ყოველ ფულის მიღებაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი ოპერაცია ან გადამხდელი თავისუფლდება სსა-ის გამოყენების ვალდებულებისაგან) სსა-ში ამობეჭდილი უნდა იყოს ჩეკი. სსა-ის გამოყენებლობად არ მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც სსა-ის შეკეთების პერიოდში (არაუმეტეს 7 დღისა) მომხმარებელთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების განხორციელება წარმოებს სარეზერვო სსა-ის მეშვეობით.

გამოყენებლობად ითვლება მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების განხორციელება დაზიანებული ან გაუმართავი სსა-ით. საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურებს ახორციელებს ის რეგიონული ცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გადასახადის გადამხდელი.

საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურები ხორციელდება გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

რეგიონული ცენტრის ის თანამშრომელი, რომელიც რეგიონული ცენტრის უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საკონტროლო-საღარიბო აპარატების გამოყენების წესების

დაცვის კუთხით მიმაგრებულია კონკრეტულ ტერიტორიულ ზონაზე (ქუჩა, უბანი და ა.შ.) ან გადამხდელთა ჯგუფზე, ამ ზონაში განთავსებულ ან ბრძანებაში მითითებულ კონკრეტულ გადასახადის გადამხდელთა იმ ობიექტებზე, საიდანაც ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდება და მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორება, უფლებამოსილია შევიდეს შესაბამის ობიექტზე საკონტროლო-საღარი აპარატის გამოყენების წესების შემოწმების მიზნით.

საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურის განხორციელების დროს, საკონტროლო-საღარი აპარატების გარეშე მუშაობის ან მათი გამოყენებლობის ფაქტის დადგენის მიზნით, რეგიონული ცენტრის თანამშრომელი ობიექტის ხელმძღვანელისათვის (ხელმძღვანელის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში ობიექტის ტერიტორიაზე მომუშავე ნებისმიერ პირებისათვის) სამსახურებრივი მოწმობისა და მისი უფლებამოსილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის შემდეგ, **უფლებამოსილია ობიექტზე შეამოწმოს:** საკონტროლო-საღარი აპარატის არსებობა; საკონტროლო-საღარი აპარატის ტექნიკური გამართულობა; საკონტროლო-საღარი აპარატზე რეგიონული ცენტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ბარათი; ემთხვევა თუ არა საკონტროლო-საღარი აპარატის საქარხნო ნომერის რეგიონული ცენტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ბარათში ნაჩვენავ ნომერს; არის თუ არა აპარატზე რეგიონული ცენტრის ლუქი; აპარატის გაუმართაობის შემთხვევაში, მოითხოვოს ობიექტის ხელმძღვანელისგან (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მოლარე-ოპერატორის ფუნქციის შემსრულებელი პირისგან) აპარატის დაზიანების თარიღის და დაზიანების აღმოფხვრის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების (მიმართვა ტექნიკური მომსახურების საწარმოზე და რეგიონულ ცენტრზე) შესახებ ინფორმაცია; საკონტროლო-საღარი აპარატიდან ამობეჭდოს კონკრეტული პერიოდის მიხედვით აპარატის ფისკალურ მექანიზმებში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ; საგადასახადო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისას **შეადგინოს შესაბამისი ოქმი.**

საგადასახადო შემოწმების პროცესში შესაბამის უფლებამოსილ პირებს ზემოთნათქვამილი უფლებამოსილების გარდა, **უფლება აქვთ:** საკონტროლო-საღარი აპარატიდან ამობეჭდონ კონკრეტული პერიოდის მიხედვით აპარატის ფისკალურ მექანიზმებში არსებული ინფორ-

მაცია ამონაგები თანხის შესახებ და დაადგინონ ამ თანხების გადამხდელის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასახვის სისწორე; საღაროს წიგნის, მოლარე – ოპერატორის ჟურნალისა და საკონტროლო-საღარი აპარატის მაჩვენებლები შეუდარონ საღაროში არსებულ ნაღდ ფულს; მისცენ წინადადება გადამხდელს წარმოადგინოს საღაროში არსებული ფულადი სახსრები და შესაბამისი წერილობითი განმარტება ფულადი სახსრების წარმომადგენლობის შესახებ; მოახდინონ საღაროში ნაღდი ფულის რაოდენობის განსაზღვრა გადასახადის გადამხდელის ან მათი წარმომადგენლის საღაროში არსებული მთელი ფულის სრული დათვლის გზით.

რეგიონული ცენტრის ის თანამშრომელი, რომელიც უფროსის/მოადგილის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვის კუთხით განპირობებულია კონკრეტულ ტერიტორიულ ზონაზე (ქუჩა, უბანი და ა.შ.) ან გადამხდელთა ჯგუფზე, ამ ზონაში განთავსებულ ან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებულ კონკრეტულ გადასახადის გადამხდელთა ობიექტებზე შესვლისას, უფლებამოსილია საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებამდე არ გაამუდავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი (გამოვიდეს ფსევდომომხმარებლის როლში) და მოახდინოს დაკვირვება მოლარის მიერ ფულის მიღებისას საკონტროლო-საღარი აპარატის გამოყენების და ქვითრის (ჩეკის) მომხმარებელზე გაცემის პროცედურაზე. იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დაფიქსირდა საკონტროლო-საღარი აპარატის გამოყენებლობის ან მომხმარებელზე ამობეჭდილი ქვითრის (ჩეკის) წარუდგენლობის ფაქტი, რეგიონული ცენტრის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეადგინოს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ერთი და იმავე ობიექტში სისტემატურად.

საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურები შესაძლებელია **ჩატარდეს დამსწრეების გარეშე.**

მომხმარებელზე ჩეკის გაუცემლობის ან ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენების ფაქტის გამოვლენის მიზნით საგადასახადო ორგანო ორგანიზებას უკეთებს **საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვას.**

საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის ნების-

მიერი პროცედურის განხორციელების დროს, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გატარების მიზნით საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ან გამოვლენილ დარღვევებს ასახავს შემოწმების მასალებში.

საგადასახადო ორგანოში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი სპეციალურ კურნალში რეგისტრაციის შემდეგ გადაეცემა იურიდიულ სამმართველოს, რომელიც 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ხელმოწერით გამოსცემს ბრძანებას საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ.

საკონტროლო-საღარიბო აპარატის გარეშე მუშაობა, საკონტროლო-საღარიბო აპარატის გამოუყენებლობა და მსგავსი ქმედებები იწვევს საგადასახადო სამართალდარღვევის დაჯარიმებას, რომელიც განსაზღვრულია **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის თანახმად**.

დათვალიერება ტარდება მოსამართლის ბრძანების გარეშე. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინის **დათვალიერება** დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დათვალიერების პროცედურა არ მოიცავს სეიფის, კარადის, უჯრისა და სხვა მსგავსი სათავსის შიგთავსის ვიზუალურ დათვალიერებასა და შემოწმებას. აღნიშნული პროცედურის ჩატარებისას აკრძალულია გადამხდელის დოკუმენტაციისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემოწმება, ასევე მისგან სიტყვიერი და წერილობითი ახსნა-განმარტებების მოთხოვნა.

დათვალიერების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 260-ე მუხლი; ინსტრუქცია „გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკური საქმიანობის ადგილის დათვალიერების შესახებ“

დათვალიერება უნდა ჩატარდეს გადასახადის გადამხდელის წინასწარ შეტყობინების გარეშე, გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს. გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებს უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – მოწვეული სპეციალისტი.

დათვალიერების პროცედურების განხორციელების დროს, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს

უფლებამოსილი პირი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ოქმს შესაბამისი სამართალდარღვევის შესახებ. გადასახადის გადამხდელს, დაკვირვების პროცედურების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დათვალიერების მიზანია გადამხდელის მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების, მის მფლობელობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების გარე და შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერება. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სახეობაზე/ობიექტზე. დათვალიერების ჩატარება შესაძლებელია, როგორც გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვების დამოუკიდებელი პროცედურა, ასევე დაკვირვების სხვა ღონისძიებების პროცედურის შემადგენელი ნაწილი.

დათვალიერების ჩატარების პროცედურამ არ უნდა დაარღვიოს გონივრულ ფარგლებში გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ჩვეულებრივი რიტმი და არ გააჩეროს მისი საქმიანობა. დათვალიერება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის მოტივირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

დათვალიერების პროცესი მოიცავს სამ ეტაპს: **დათვალიერების მომზადება; ვიზუალური დათვალიერება; შედეგების დაფიქსირება.**

დათვალიერების მომზადება გულისხმობს დასათვალიერებელი ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების შეგროვებას, მათ წინასწარ გაცნობას, კერძოდ, კეთდება ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პროცედურის განხორციელებაში გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის) მოწმობა და საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** დათვალიერების პროცედურის თაობაზე, ამ აქტით დამტკიცებული პროგრამა და გადასახადის გადამხდელის უფლებების განმარტებითი ბარათი.

დაკვირვება წარმოებს სამუშაო დღის განმავლობაში გადამხდელის ტერიტორიის ან/და

შენობა-ნაგებობის გარე და შიდა სივრცეში არსებული/წარმოებული პროდუქციის/მომსახურების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების, მფლობელობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების ვიზუალური დათვალიერების გზით.

დათვალიერების პროცესის დასრულებისთანავე დგება გადასახადის გადამხდელი ეკონომიკური საქმიანობის ადგილის **დათვალიერების ოქმი**.

დამატებით შენიშვნების სახით დათვალიერების ოქმში შეიძლება აღინიშნოს დათვალიერების ჩატარებისას გამოვლენილი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის ან/და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ჩანაწერები. ოქმში ასახული უნდა იქნეს ვიზუალური დათვალიერების ნებისმიერი შედეგი. **ოქმი დგება ორ ეგზემპლარად**: ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს (მის წარმომადგენელს), ხოლო მეორე – რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს. ოქმი გასაცნობად და ხელმოსაწერად წარედგინება პროცედურის განხორციელებაში მონაწილე ყველა პირს, რომლებსაც უფლება აქვთ ოქმში წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ გამოიკვლიონ პირის საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავეები, **ინვენტარიზაციით** მოახდინონ საქონლის მარაგების აღრიცხვა.

ინვენტარიზაციის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 261-ე მუხლი; ინსტრუქცია „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის (შემდგომში - ინვენტარიზაცია) მიზანია დროის გარკვეულ პერიოდისთვის გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების და მათი შენახვის ადგილზე, სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მარაგ-ნაწილების, ტარისა და მზა პროდუქციის (საქონლის) ნაშთების, სააღრიცხვო (საბუღალტრო) ჩანაწერებთან შედარება.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება

აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება (საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს არააქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება გამოსცეს კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 2-ჯერ, ხოლო მესამეჯერ ინვენტარიზაცია შესაძლებელია ჩატარდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის ბრძანებით). მეტჯერ ინვენტარიზაციის ჩატარება დასაშვებია, მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის განხორციელებას საფუძველად შეიძლება დაედოს საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების ან/და გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციების ან სხვა დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია.

ინვენტარიზაციის მომზადება მოიცავს ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების შეგროვებას, მათ წინასწარ გაცნობას. კერძოდ, კეთდება შესასწავლი ობიექტის გასული პერიოდის ანალიზი, ასევე ფიქსირდება ის სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები, რამაც შეიძლება განაპირობოს არსებითი სხვაობა ინვენტარიზაციის შედეგებსა და გასულ პერიოდში არსებულ მონაცემთა შორის.

საგადასახადო ორგანოს უფროსის **ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს** უნდა დაერთოს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების **ჩატარების პროგრამა** და გადასახადის გადამხდელის უფლებების განმარტებითი ბარათი.

ფიზიკური პირისათვის გაგზავნილი ბრძანება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციისათვის გაგზავნილი - სათანადოდ უფლებამოსილ პირს.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანებით თავად შექმნას **საინვენტარიზაციო კომისია** და განსაზღვროს მისი შემადგენლობა, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ შორის, საგადასახადო კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში (2 სამუშაო დღე) საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე გადასახადის გადამხდელის

ხელმძღვანელის (დირექტორის) მიერ ბრძანების გამოუცემლობისას, გამოსცეს საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება. ამ ნაწილის შესაბამისად საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მასში გადამხდელის წარმომადგენლის/წარმომადგენლების შეყვანა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, მის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდგომ, შესაბამისი პროცედურების დაწყებამდე უფლებამოსილია დალუქოს ის სათავეები, სადაც ინახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ან/და ბუღალტრული დოკუმენტები.

თუ დალუქვის გამო გადასახადის გადამხდელის საქმიანობა შესაძლებელია შეჩერდეს 48 საათზე მეტი დროით, საგადასახადო ორგანო ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეუთანხმოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ უფლებამოსილ პირს/პირებს.

ინვენტარიზაცია ტარდება მხოლოდ ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახეობების მიმართ, რომელთა დასაწყობება და შესაბამისად, დათვლა, აწონვა და აზომვა ფიზიკურად შესაძლებელია. ინვენტარიზაციის ჩატარება შესაძლებელია, როგორც გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვების დამოუკიდებელი პროცედურა, ასევე საგადასახადო შემოწმების შემადგენელი ნაწილი.

ინვენტარიზაციას ექვემდებარება: ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც მოცემული გადასახადის გადამხდელის მფლობელობაშია და იმყოფება მის ტერიტორიაზე; ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც მოცემული გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებულია შესანახად, იჯარით სარგებლობისათვის, გადასამუშავებლად ან სხვა დანიშნულებით; ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც აღრიცხულია შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე, როგორც გზაში მყოფი, გადატვირთული, სხვა გადასახადის გადამხდელთან (გადასახადის გადამხდელთან) გადასამუშავებლად და/ან საწყობებში შესანახად გადაცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

ინვენტარიზაციის პროცედურების განხორციელებისას სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს **ოქმს სამარ-**

თაღდარღვევის შესახებ, გარდა საგადასახადო შემოწმებით გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევებისა.

გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისია იქმნება გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელის (დირექტორის) ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრული უნდა იქნეს კომისიის წევრები, ხოლო წევრებიდან – კომისიის თავჯდომარე. კერძოდ, ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა (მაგალითად: ბუღალტერი, ინჟინერი, საქონელმცოდნე, ეკონომისტი, მექანიკოსი, ტექნოლოგი, საწყობის გამგე და სხვ.). აგრეთვე, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ან/და მის მიერ მოწვეული სპეციალისტები.

საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოებისა და შენახვის ადგილზე, შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის ოქმში.

გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელი (დირექტორი) პასუხისმგებელია ინვენტარიზაციის სწორად და დადგენილ ვადებში ჩატარებაზე. ის ვალდებულია შექმნას ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის სათანადო პირობები.

საინვენტარიზაციო კომისიის მიერ განსახორციელებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცედურა მოიცავს **შემდეგ ეტაპებს:** სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენა; სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა; ფაქტიური და სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ურთიერთშედარება და შედეგების გამოყვანა.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სააღრიცხვო (საბუღალტრო) და ფაქტიური მდგომარეობის (ნაშთების) შემოწმების დაწყებამდე, საინვენტარიზაციო კომისია **ვალდებულია:** საჭიროების შემთხვევაში დალუქოს დამხმარე სათავესოები, სარდაფები და ფასეულობათა შენახვის ის ადგილები, რომლებსაც ცალკე შესასვლელ-გასასვლელი აქვთ; შეამოწმოს ზომა-წონის საზომი ყველა ხელსაწყოს ვარგისიანობა;

მიიღოს ის დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დაწყების პერიოდისათვის არსებული მდგომარეობას. ყველა დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული კომისიის თავმჯდომარის მიერ; საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირისგან (პირებისგან) მიიღოს ხელწერილი იმის შესახებ, რომ ინვენტარიზაციის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული ფასეულობა აღებულია შემოსავალში, ხოლო გაცემული ჩამოწერილია გასავალში; გადაამოწმოს საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) მიერ საინვენტარიზაციო აღრიცხვებში აღმოჩენილი შეცდომები და მათი დადასტურების შემთხვევაში გაასწოროს ისინი.

საინვენტარიზაციო კომისია **პასუხს აგებს:** ინვენტარიზაციის პროცედურის დადგენილ ვადაში ჩატარებასა და წესების დაცვაზე; საინვენტარიზაციო აღრიცხვებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეტანის სისრულესა და სიზუსტეზე; საინვენტარიზაციო აღრიცხვებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განმასხვავებელი ნიშნების (ტიპი, ხარისხი, ზომა, რიგითი ნომერი და ა.შ.) სწორად შეტანაზე; ინვენტარიზაციის შედეგების დადგენილ ვადაში და სწორად გაფორმებაზე.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის დაწყების დღისათვის დამთავრებული უნდა იყოს ფასეულობათა შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის დამუშავება, ნაწარმოები უნდა იყოს შესაბამისი ჩანაწერები ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში) და გამოყვანილი იყოს ნაშთები.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენის მიზნით საწარმოში **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების** შენახვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია: საინვენტარიზაციო კომისიას წერილობით შეატყობინოს, ინვენტარიზაციის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტის ბუღალტერიაში ჩაბარების თაობაზე, აგრეთვე, ყველა მიღებული ფასეულობის შემოსავალში, ხოლო გაცემულის - გასავალში აღების თაობაზე; საინვენტარიზაციო აღრიცხვებში შეცდომების აღმოჩენისას (მაგალითად, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი ან მეტობა გამოწვეულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელებების შეცდომით

ჩაწერის, გამოტოვების ან ანგარიშში ჩაუთვლელობის შედეგად), აღნიშნულის თაობაზე საინვენტარიზაციო კომისიას განუცხადოს დალუქული საწყობის გახსნამდე.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საინვენტარიზაციო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დასახელების, რაოდენობის, ამ ფასეულობათა მიღების თარიღის, სასაქონლო ზედნაღებისა ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან საბაჟო დოკუმენტაციის თარიღისა და ნომრების, თვითღირებულების და სხვა მონაცემების ჩვენებით. საინვენტარიზაციო კომისია, საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში გადასახადის გადამხდელთან ერთად ადგენს ამ ფასეულობების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემებს.

თუ ვერ მოხდება დადგენილ ვადებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელებების მიხედვით ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენა, ეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები უნდა ჩაითვალოს, როგორც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დაზუსტების შემდეგ, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს “საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ”.

საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება შემაჯამებელი ოქმით “სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფაქტიური აღრიცხვის მონაცემების შედარების შესახებ”.

ოქმებზე ხელს აწერენ პროცედურების განმასხვავებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი და გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, ინვენტარიზაციაში მონაწილე პირები, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტი (თუ მონაწილეობს ზემოაღნიშნულ პროცედურებში). გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში მასში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

ინვენტარიზაციის შედეგად აღურიცხავი, ანუ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე საქონლის გამოვლენა, ანუ ზედმეტობა და გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხავი საქონლის გამოვლენა – იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ საქონლის საბაზრო ღირებულების ხუთმაგი ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით განსაზღვრული დანაკლისის გამოვლენა – იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ საქონლის საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით (მასზე გაწეული ხარჯისა და დღგის ჩათვლის გაუქმების გარეშე).

შესაბამისი სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს სამართალდარღვევის ოქმს და საგადასახადო ორგანო ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

საგადასახადო შემოწმებისას ამ წესით განსაზღვრული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევა აისახება შემოწმების აქტში, ამ შემთხვევაში ცალკე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება.

საინვენტარიზაციო კომისია ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ ყველა მასალას გადაცემს გადასახადის გადამხდელს და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს. შედგენილი მასალები პროცედურის დასრულებიდან (შემაჯამებელი ოქმის შედგენიდან) არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარედგინება საგადასახადო ორგანოს უფროსს.

საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ ინვენტარიზაციის პროცედურაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ჩატარებული პროცედურის შედეგების გათვალისწინებით დაფიქსირებული ინფორმაცია ინახება საგადასახადო ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო შემოწმება, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს **კამერალური და გასვლითი**.

კამერალური საგადასახადო შემოწმება, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, ადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას ამ კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

კამერალურ საგადასახადო შემოწმებას ატარებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/მისი მოადგილის წერილობითი ბრძანების საფუძველზე.

კამერალური საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ამ კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს გადასახადის გადამხდელისაგან ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლინდა შეცდომები, აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს გადასახადის გადამხდელს, რომელმაც ამ დოკუმენტებში უნდა შეიტანოს შესაბამისი შესწორებები.

თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), მაშინ კამერალური საგადასახადო შემოწმების განმასრუციებელი უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემოწმების აქტს და აწერს ხელს მასზე. აღნიშნულ აქტს ამტკიცებს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე.

კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ გადასახადის გადამხდელს ეგზავნება „**საგადასახადო მოთხოვნა**“ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

„საგადასახადო მოთხოვნა“ არის საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებული პირს. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუხლი 64 პირველი ნაწილი)

გასვლითი საგადასახადო შემოწმებით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრული ან შერჩევით შემოწმება. გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებსაც.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ ბრძანებას უნდა დაერთოს გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცესში შესასრულებელ იმ მოქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც შემოწმების პროგრამითაა გათვალისწინებული.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქ-

ტობრივი მუშაობის დროს.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს **გეგმური ან საკონტროლო**.

გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ, რის თაობაზედაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება 10 დღით ადრე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმების საფუძველი და საგანი, ასევე შემოწმების ჩატარების სავარაუდო დრო.

საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე. საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების მიზნით სასამართლო-სათვის მიმართვის ან გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე, თუ: ბოლო საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები ან არსებობს სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებს ასეთი დარღვევების შემთხვევებს; არსებობს სანდო ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმოშობას; არსებობს სანდო ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგირი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ; საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგირის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალობა; წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამო-სანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები; საწარმო/ორგანიზაციამ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვისა. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ეს ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 1 თვით.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე ვალდებულია, შექმნას **საგადასახადო შემოწმების ჯგუფი**.

საგადასახადო შემოწმების ჯგუფი ვალდებულია გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს

აღნიშნული ჯგუფის წევრთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, საგადასახადო ორგანოს უფროსის ბრძანება საგადასახადო შემოწმების ჯგუფის შექმნის შესახებ, შემოწმების პროგრამა და გადასახადის გადამხდელის უფლებების განმარტებითი ბარათი. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, გადასახადის გადამხდელს ასევე უნდა წარუდგინოს: საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას - მოსამართლის ბრძანება საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ, ხოლო გეგმური გასვლითი საკონტროლო საგადასახადო შემოწმებისას - საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის ბრძანება შესაბამისი გასვლითი საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო შემოწმების ჯგუფს შეუქმნას ისეთი სამუშაო პირობები, როგორიც ჩვეულებრივ არსებობს გადასახადის გადამხდელთან.

თუ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი ჩათვლის, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები შეიძლება განადგურდეს, დამალულ იქნეს, შესწორდეს ან შეიცვალოს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული საალრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადასახადის გადამხდელის მიერ დამოწმებული ასლი. გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი უფლებამოსილია ამოიღოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის დედანი. ამის თაობაზე მან უნდა შეადგინოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის ამოღების აქტი, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გადასახადის გადამხდელს, გადაიღოს აღნიშნული დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლი და 5 დღის ვადაში დედანი დაუბრუნოს გადასახადის გადამხდელს.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა დგება, როდესაც საგადასახადო ორგანო ჩათვლის, რომ გადასახადის გადამხდელი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებთ, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ანდა სხვა ღონისძიებების გატარებით.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადა-

უძველესი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს და **ნებართვა მიიღოს სასამართლოსაგან** საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ.

სასამართლოს ნებართვის მიღებამდე საგადასახადო შემოწმების ჯგუფის წევრებს უფლება არა აქვთ დაიწყო გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურები. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ მხოლოდ დალუქონ საგადასახადის გადამხდელის ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარებისათვის.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაუბრკოლებლად დაუშვას საგადასახადო შემოწმების ჯგუფი თავის ტერიტორიებზე ან/და შენობა-ნაგებობებში, **გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინისა**, რომელში შესვლაც შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის ტერიტორიებზე ან/და შენობა-ნაგებობებში დაუშვებლობა ჩაითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად და იწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსით დადგენილი წესით.

თუ გადასახადის გადამხდელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩასატარებლად საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს არ დაუშვებს ტერიტორიებზე ან/და შენობა-ნაგებობებში, საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირი აღგენს აქტს, რომელსაც ხელს აწერს შემოწმებელი და გადასახადის გადამხდელი.

მთავრობა ბიზნესსექტორს სამ ახალ ინიციატივას სთავაზობს: „პირველი და ერთერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე არის **აუდიტორული შემოწმების აუტსორსინგი**. კომპანიას რომელსაც აქვს სურვილი, შეუძლია მიმართოს ლიცენზიის მქონე სხვა კერძო აუდიტორულ ან საკონსულტაციო კომპანიას, რომ საგადასახადო შემოწმება ჩატაროს არა შემოსავლების სამსახურმა, არამედ სხვა აუდიტორულმა ან საკონსულტაციო კომპანიამ“.

ახალი ინიციატივის თანახმად, კერძო კომპანიას შეუძლია მიმართოს სხვა აუდიტორულ თუ საკონსულტაციო კომპანიას, რომელსაც შესაბამისი ლიცენზია აქვს და მისგან საგადასახადო შემოწმება მოითხოვოს. თუმცა ამ აუდიტორულ კომპანიას შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად შემოსავლების სამსახურისგან **სპეციალური ნებართვა** უნდა ჰქონდეს აღებული. საუბარი, რომ საგადასახადო

შემოწმება შემოვიდა და დაგეგუქა, პრობლემები შეგვიქმნა და ამის გამო გაყიდვები შეგვიძირდა - საერთოდ მოისპობა. აუდიტორული კომპანიის შემოწმებული აქტი ჩაითვლება როგორც საგადასახადოს მიერ შემოწმებულ აქტად. პროექტი პირველ ეტაპზე პილოტურ რეჟიმში განხორციელდება. თუმცა შემოდგომ საგადასახადო შემოწმების განხორციელების საშუალება ყველა მსურველ აუდიტორულ კომპანიას მიეცემა. **შემოწმების ფასებს** თავად ბაზარი განსაზღვრავს. როდესაც ბაზარზე იქნება რამდენიმე აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია, მათ მიერ გაწეული მომსახურების ტარიფებს ბაზარი დაარეგულირებს, რადგან მათ შორის იქნება დიდი კონკურენცია.

კიდევ ერთი სიახლე ტექნიკურ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. „თუ კომპანიას რამე ტექნიკური დანაკარგი გააჩნდა, ხშირ შემთხვევაში ის რეალიზაციად ეთვლებოდა. ეს იყო ძალიან ფართო სპექტრის პრობლემა. შეიქმნება ტექნიკური დანაკარგების კომისია რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა კომპანიაში ან სექტორში ტექნიკური დანაკარგების რაოდენობას, შედეგად კომპანიებს უფრო ნაკლები საგადასახადო ტვირთი ექნებათ. კომპანიებს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ შეეძლებათ მიმართონ კომისიას, რათა დაუდგინონ ტექნიკური დანაკარგები.“

კიდევ ერთი **ინიციატივა** საწვავის ჩამოწერას ეხება. ახალი ინიციატივით, ჩამოწერის პროცესი არსებობს, გარკვეული პროცედურა უკვე შემოღებულია - განაცხადა გილაურმა.

პილოტურ რეჟიმში შემოსავლების სამსახურის მიერ შერჩეულია 12 საკონსულტაციო/აუდიტორული კომპანია. შემოსავლების სამსახურის მხრიდან უკვე გამოვლენილია **აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიები: GDC Solutions**, კაპრო ჯგუფი, **MGI** მედიატორი, ფინანსური მართვის ჯგუფი, საგადასახადო აუდიტორული ბიურო „საბი“, საკონსულტაციო კომპანია გვაზავა და პარტნიორები, აუდიტორული კომპანია „მრჩეველი“, **BAKER TILLY GEORGIA**, **BDO GEORGIA**, **PKF GEORGIA** და კონსაუდი.

პილოტურ პროექტში ჩართული ორგანიზაციებია: შპს „ორიონ გრუპი“, შპს „რენა 2008“, შპს „ირაკლი-2007“, შპს „მინა“, შპს „გომის სპირტის და არაყის კომპანია“, შპს „სმაილი 2010“, შპს „ჯი-მარტი“, შპს „იმედი-7“, შპს „ჰიზმეთლერი ინაათის საქართველოს წარმომადგენლობა“, შპს „არჯენი“, შპს „ვეროტექნიკს ჯორჯია“.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, შემოსავლების სამსახური ბიზნეს სექტორს სთავაზობს სიახლეს საგადასახადო შემოწმების კუთხით, რაც ითვალისწინებს დამოუკიდებელი

აუდიტორული კომპანიების ჩართვას ამ პროცესში, რაც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის შორის თანამშრომლობისა და ნდობის ხელშეწყობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ამიერიდან, საგადასახადო რისკის დაფიქსირების შემთხვევაში, გადამხდელს ეცნობება შემოწმების თაობაზე და მას უფლება ექნება, თავად გადაწვევით შემოწმება ჩაატაროს შემოსავლების სამსახურმა თუ დამოუკიდებელმა აუდიტორულმა თუ საკონსულტაციო კომპანიამ. აღსანიშნავია, რომ გადამხდელს გარეაუდიტის მომსახურების შემთხვევაში, შემოწმებული პერიოდი შემოსავლების სამსახურშიც შემოწმებულ პერიოდად ჩაეთვლება. კერძო აუდიტორული ან საკონსულტაციო კომპანიის არჩევის შემთხვევაში, გადამხდელი აღმოჩენილი დარღვევის ჯარიმისაგან ნაწილობრივ თავისუფლდება. ერთი წლის განმავლობაში, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიები გადამხდელბთან იმუშავენ თავისი მეთოდოლოგიით და შემოწმების პროცედურებით. ამ პერიოდში მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შემოსავლების სამსახურის, აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტებისგან, შეიმუშავებს შემოწმების მეთოდურ სახელმძღვანელოს.

2012 წლის 22 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის №60 ბრძანებით „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდვების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევების საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება ალტერნატიულ საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49(6) მუხლის თანახმად საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეები, შესაძლებელია, განხორციელოს სხვა პირმა. საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევასა და საგადასახადო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმება ტარდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ამ თავით და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილი წესით.

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი პირი (შემდგომში – აუდიტორი) – პირი, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს საგადასახადო შემოწმების ჩატარების უფლებამოსილება და შესაბამისი კატეგორია.

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმება (შემდგომში – ალტერნატიული აუდიტი) – საგადასახადო შემოწმება, რომელიც ამ თავით დადგენილი პირობების დაცვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე ტარდება აუდიტორის მიერ.

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების აქტი (შემდგომში – შემოწმების აქტი) – აუდიტორის მიერ ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში მომზადებული დასკვნა, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და რომელსაც საგადასახადო მიზნებისთვის აქვს საგადასახადო შემოწმების აქტის სტატუსი.

შემოსავლების სამსახურის უფროსი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის (ფიზიკური და იურიდიული პირი) აუდიტორის უფლებამოსილებისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ. აუდიტორს შეიძლება მიენიჭოს *A, B* და *C* კატეგორია. აუდიტორს, რომელსაც მინიჭებული აქვს *A* კატეგორია ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისათვის გადასახადის გადამხდელის ბრუნვის ოდენობის მიხედვით შეზღუდვა არ უწესდება. აუდიტორს, რომელსაც მინიჭებული აქვს *B* კატეგორია უფლება აქვს ალტერნატიული აუდიტი ჩაუტაროს მხოლოდ იმ გადასახადის გადამხდელს, რომლის დეკლარირებული წლიური ბრუნვა ან ერთობლივი შემოსავალი შესამოწმებელ პერიოდში ნებისმიერი სრული/არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 3 მლნ ლარს. აუდიტორს, რომელსაც მინიჭებული აქვს *C* კატეგორია უფლება აქვს ალტერნატიული აუდიტი ჩაუტაროს მხოლოდ იმ გადასახადის გადამხდელს, რომლის დეკლარირებული წლიური ბრუნვა ან ერთობლივი შემოსავალი შესამოწმებელ პერიოდში ნებისმიერი სრული/არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 300000 ლარს.

გადასახადის გადამხდელს ალტერნატიული აუდიტი შეიძლება ჩაუტარდეს:

– საგადასახადო ორგანოს ინიციატივით

ბანკები, აღრიცხვა და აუდიტი

– გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში;

– გადასახადის გადამხდელის ინიციატივით – საგადასახადო ორგანოს თანხმობის შემთხვევაში.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ალტერნატიული აუდიტის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხს წვევტს საგადასახადო ორგანო, რის შესახებაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება სადაც მიეთითება:

– შესამოწმებელი პერიოდი (პერიოდები) და გადასახადი (გადასახადები);

– საგადასახადო შემოწმების დაწვების სავარაუდო თარიღი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადას (შეტყობინების ჩაბარებიდან არაუდგვიანეს 30 სამუშაო დღე);

– აუდიტორის კატეგორია.

შეტყობინებით გადასახადის გადამხდელს განემარტება:

– უფლება, ისარგებლოს ალტერნატიული აუდიტის ჩატარების შესაძლებლობით;

– ვალდებულება, ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე თანხმობის შემთხვევაში, შეარჩიოს შესაბამისი კატეგორიის მქონე აუდიტორი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე თანხმობა გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს უნდა აცნობოს შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. გადასახადის გადამხდელის მიერ შეტყობინებაზე პასუხის დადგენილ ვადაში გაუცემლობის ან ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია თვითონ ჩაატაროს საგადასახადო შემოწმება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესით.

ალტერნატიული აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ამ თავით და საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტებით, აგრეთვე გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

ალტერნატიული აუდიტის დასრულების შემდეგ, ალტერნატიული აუდიტის შედეგებზე დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტს ხელს აწერს აუდიტორი და უშუალოდ შემოწმებელი პირი (პირები). შემოწმების აქტს უნდა დაერთოს:

ა) იმ სააღრიცხვო დოკუმენტების და მასალების ასლები, რომლებიც საფუძვლად

დაედო გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევას;

ბ) ექსპერტის დასკვნა (ასეთის არსებობისას);

გ) შეტყობინება მედიაციის პროცესის დაწყების შესაძლებლობის შესახებ;

დ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შემოწმების აქტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს საგადასახადო ანგარიშგება განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ აღიარებისა და აღიარებული საგადასახადო ვალდებულებების ოდენობით შესაბამისი საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის/დახუსტების თხოვნით. თუ გადასახადის გადამხდელი სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება შემოწმების აქტს (მათ შორის, შუალედურ აქტს), მას უფლება აქვს შემოწმების აქტის (მათ შორის, შუალედური აქტის) მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით დაიწეოს მედიაციის პროცესი. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია გაასაჩივროს შემოწმების აქტი (მათ შორის, შუალედური აქტი) და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ „საგადასახადო მოთხოვნასთან“.

აუდიტორის მომსახურების ანაზღაურება ხდება გადასახადის გადამხდელის ხარჯზე, გადასახადის გადამხდელსა და აუდიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, თუ გადასახადის გადამხდელი ისარგებლებს ალტერნატიული აუდიტის მომსახურებით ის გარკვეული პრივილეგიით სარგებლობს, კერძოდ ის ახდენს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას დაგვიანებით და ამისთვის საგადასახადო ორგანო არ არ აჯარიმებს მას.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269 მუხლის 5(1) ქვეპუნქტის თანახმად, პირს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება, თუ იგი ამ კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირის დასკვნის შესაბამისად:

ა) საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას/გაანგარიშებას;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს საგადასახადო ანგარიშგებას. ამ შემთხვევაში პირი თავისუფლდება შესაბამისი დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულებისაგან.”

TAX CONTROL AND TAX INSPECTION

TAMAR BERIDZE – GTU, Associate Professor
SALOME JAPARIDZE – GTU, MA 2nd year student

Tax control includes current control, observation procedures of taxpayer's activities and tax inspection.

Timekeeping is performed by no less than two authorized representatives of tax agency without the judge's order. Timekeeping has the form of tax control of taxpayer's activities and its aim is to determine and calculate taxpayer's actual or potential revenues, amount of sold goods/services and quantity of employed physical persons for certain period.

Authorized representatives of regional centre and revenue service's audit department (hereinafter 'tax agency') have the right to make **control procurement** (hereinafter 'control procurement') and/or determine price of good/service with offer of control procurement (hereinafter 'offer') to inspect the activities of taxpayer without the judge's order.

When consumers make cash payment to entrepreneur physical persons for goods/services, all relevant data should be accounted **only** by means of cash registers.

Examination should be made without prior notification of taxpayer at the working hours or at the actual working time of taxpayer. Tax control procedures should be attended by taxpayer or his/her representative and if necessary – invited specialist.

Cameral tax inspection determines whether taxpayer's financial reports, tax declarations, notifications, conclusions, calculations, other documents and data intended for tax agency, explanations and implementation of tax liability (on the basis of analysis of account documents) are compatible with demands of current tax code.

Ex-situ tax inspection provides for full or selective inspection of tax documentation at the working place of taxpayer. It may include tax control procedures for the activities of taxpayer too.

According to ministry of finance, revenue service offers business sector innovation in the field of tax inspection. Innovation provides for participation of independent auditing companies, which is important step supporting cooperation and raising confidence between state and private sector.

From now on, if the task risk is determined, taxpayer receives notification about inspection and he/she has the right to decide whether inspection is made by revenue service or independent auditing or consulting company. It's noteworthy that when inspection is made by external audit, inspected period is acknowledged by revenue service too. If taxpayer chooses private auditing or consulting company, fines are partially annulled. Independent auditing companies will work with taxpayers on the basis of their methodology and inspection procedures for the year. In this period standing committee, comprised of revenue service, representatives of auditing companies and invited experts will develop methodical guidance of inspection.